ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 61

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ფოთი ,, 19 " **მარტი 2014 წ.**

ერთის მხრივ

ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური''ს/კ 215082764.

მისამართი: ქ. ფოთი დ. თავდადებულის ქუჩა N 93.

საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი"; ბანკის კოდი: TBCBGE22; ა/ა: GE51TB7148436080100001

დირექტორი: რევაზ ბაბილუა. (შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ

ი/მ „ ზურაბ მესხი " პ/ნ 42001000990;

მისამართი: ქ. ფოთი. მიქაბერიძის N 3; ტელ: 599 54 30 05; ZMESXI@GMAIL.COM

საბანკო რეკვიზიტი: სს „საქართველოს ბანკი"; ბანკის კოდი: BAGAGE22; ა/ა: GE91BG0000000248360300;

(შემდგომში "მიმწოდებელი") სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის დაცვით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1„მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის"-ათვის თეთრი ფერის ახალი რკინის კარის (ზომით 282,2 / 2,90) ს მოწოდებას და მონტაჟს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე მდებარე ორ სართულიანი შენობის პირველ სართულზე.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1770.00 (ერთიათას შვიდას სამოცდაათი ლარი 00 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან და მონტაჟთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3 საქონლის მიწოდების ვადები

3.1 შესყიდული საქონლის მიწოდება და მონტაჟი უნდა განხორციელდეს 2014 წლის 15 აპრილის ჩათვლით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

4.1. მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის: ანგარიშფაქტურის, სასაქონლო ზედდებულის და მიღება–ჩაბარების აქტის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ არაუმეტეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში., წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში ლარში, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდული საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლი"–ს მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს „შემსყიდველ"–ს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი და მოახდინოს მისი მონტაჟი სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

6.5 მხარეების პასუხისმგებლობა:

ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით - ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1 % - ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

საჯარიმო სანგციების გადახდა არ ათავისუფლებს " მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს „შემსყიდველი"–ს მიერ გამოყოფილი თანამშრომელი – მატერიალურ-ტექნიკური მომმარაგებელი ზაზა მარკელია.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს „მიმწოდებლი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მოწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზი და ნაკლი უნდა აღმოფხვრას მიმწოდებელმა ან შეცვალოს საქონელი ახლით. ხარვეზის აღმოფხვრასთან ან საქონლის შეცვლასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 15 მაისის ჩათვლით

8.2 ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

8.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 "მიმწოდებელმა" "შემსყიდველის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს

შემსყიდველის მხრიდან

ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური"–ს

დირექტორი: რევაზ ბაბილუა

მიმწოდებლის მხრიდან

ი/მ. „ ზურაბ მესხი" : ზურაბ მესხი